ქალაქ თბილისის
მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 122

29 მარტი
"___" _____ 2024 წ.

ქ. თბილისი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქონების მართვის სააგენტოს მიერ პირობებით გამოცხადებული აუქციონის საფუძველზე 2019 წლის 14 ნოემბერს გაფორმებული №ე-492-6-24304 ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობის გაუქმების საკითხის შეთანხმების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის - „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 75-ე მუხლის „დ.ზ" ქვეპუნქტის, 127[2] მუხლის პირველი და მეორე პუნქტების, „თბილისის მუნიციპალიტეტის ქონების აუქციონის ფორმით პრივატიზების წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის №19-72 დადგენილებით დამტკიცებული წესის 24-ე მუხლის მე-9 პუნქტის, ასევე, „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქონების მართვის სააგენტოს მიერ პირობებით გამოცხადებული აუქციონის საფუძველზე 2019 წლის 14 ნოემბერს გაფორმებული №ე-492-6-24304 ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობის გაუქმების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2024 წლის 14 მარტის №24.428.478 განკარგულების საფუძველზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. გაუქმდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიულ პირს - ქონების მართვის სააგენტოსა და შპს „რეალთი ავლაბარს" (ს/ნ 405012864; უფლებამონაცვლე ლელა მამაცაშვილი, პ/ნ. 35001016905) შორის, 2019 წლის 14 ნოემბერს გაფორმებული პირობებით გამოცხადებული აუქციონის №ე-492-6-24304 ხელშეკრულებით განკარგულ 965 კვ.მ. მიწის ნაკვეთზე (ს/კ 01.14.08.011.187; დღევანდელი მდგომარეობით ს/კ. 01.14.08.011.231), ამავე ხელშეკრულების „გ" პუნქტით გათვალისწინებული პირობა - „მიწის ნაკვეთის სამშენებლო განვითარება განხორციელდეს ერთიანი განაშენიანების რეგულირების გეგმის ფარგლებში".

2. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე — გიორგი ტყემალაძე